

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13

2022 წლის 3 ივნისი

ქ.ლაგოდეხი

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ნორმატიული აქტების შესახებ „საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილი იქნას ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N50 დადგენილებაში. (www.matsne.gov.ge. 28.12.2017. 010260020.35.167.016341)

მუხლი 2

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N50 დადგენილების დანართის „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების;

1. მე-3 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ“ ქვეპუნქტი:

„ქ) შეიმუშავებს ბრძანების პროექტებს მშენებლობის ნებართვის, მშენებლობის ნებართვის კორექტირებასთან და ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.“.

2. დადგენილების მე-4 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი:

„ო) შეიმუშავებს ბრძანების პროექტებს მშენებლობის ნებართვის, მშენებლობის ნებართვის კორექტირებასთან და ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.“.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

